ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #82

ს. წეროვანი, დევნილთა დასახლება 29 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ ახალგორის მუნიციპალიტეტის (შემდგომში „შემსყიდველი“) გამგეობას, მის გამგებელს ნუგზარ თინიკაშვილსა და მეორეს მხრივ შპს “რითეილ ჯგუფი“(შემდგომში“მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა ჩოჩელს შორის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-9 მუხლის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას საშუალებით,“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი „ უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მინერალური წყალი და ერთჯერადი ჭიქების შეძენას (CPV 15981100-10.80, 39222120-1.50)

1.2.დანართი#1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 12.30(თორმეტი ლარი 30 თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზი ბალაშვილი.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: წეროვანი,დევნილთა დასახლება.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება.ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში,რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობა.

7.2.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების,მათ შორის,ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში,თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით,ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7.ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი)თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად,რომელთაგანაც თითეული გადაცემათა მხარეებს.

9.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებილებების შეუსსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან,თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში,დავის გადასაწყვეთად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 28 დეკემბრამდე.

12. მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	„მიმწოდებელი “
ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შპს“ „რითეილ ჯგუფი“
მის. ს. წეროვანი, დევნილთა დასახლება	მის.ქ.მცხეთა სამხედროს ქ#12
ს/კ 223238217	ს/კ 436041659
	ა/ა GE35TB7868036080100005
	შს “თიბისი ბანკი”
	TBCBGE22

გამგებელი: / ნ. თინიკაშვილი/ გენერალური დირექტორი: /ლ. ჩოჩელი/

Lasha Chocheli Digitally signed by Lasha Chocheli Date: 2019.10.31 14:44:04 +04'00'

დანართი №1

დასახელება	რაოდენობა	ერთ. ღირებულება	ფასი	CPV კოდები
1.წყალი „სნო“(პეტი) 0,5ლ	24 ც.	0.45	10.80	15981100
2.ერთჯერადი ჭიქები	30 ც.	0.05	1.50	
ჯამი:			12.30	

“შემსყიდველი”

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მის. ს. წეროვანი, დევნილთა დასახლება

ს/კ 223238217

„მიმწოდებელი “

შპს“ „რითეილ ჯგუფი“

მის.ქ.მცხეთა სამხედროს ქ#12

ს/კ 436041659

ა/ა GE35TB7868036080100005

შს “თიბისი ბანკი”

TBCBGE22

გამგებელი: / ნ. თინიკაშვილი/

გენერალური დირექტორი: /ლ. ჩოჩელი/

Lasha Chocheli

Digitally signed by Lasha Chocheli
Date: 2019.10.31 14:45:30 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

წეროვანი (დევნილთა დასახლება) 29 ოქტომბერი 2019 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ 2019 წლის 29 ოქტომბერს დადებული #82 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ახალგორის მუნიციპალიტეტის

გამგებელი: /ნუგზარ თინიკაშვილი/